ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

ბრძანება:ბ48.48210322
თარიღი:01/02/2021

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის" საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ" პუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №-49-49210294 განკარგულების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, კერძოდ: 100 (ასი) ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერი, ღირებულებით 54 000 (ორმოცდათოთხმეტი ათასი) ლარი, საკუთრებაში გადაეცეს ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებას".

2.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს (მ. კანკაძეს).

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

გრიგოლ იოსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

221274546

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ N25 (+995) 595 95 90 72 ელ. ფოსტა: TSKALTUBO1@GMAIL.COM